საბერძნეთის ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ეკლესია

ოქმი № 3110

სააღდგომო ეპისტოლე
2021 წელი

„აღდგომისა დღე არს, განვბრწყინდებოდეთ აწ ერნო; პასქა უფლისა, პასქა! რომლითა ქრისტემან ღმერთმან სიკუდილისაგან მი სნნა, და ქუეყანით ცად აღმიყუანნა სუფევად, ძლევისა მგალობელნი დღეს“.

(სძლისპირი, პასექის კანონი, გალობა ა)

ძვირფასო მამანო და ძმანო, აღდგომილი მაცხოვრის ქრისტეს მიერ სულიერნო შვილნო,

სულიწმინდა წმინდა მამათა და ეკლესიის ქების მგალობელთა ბაგეებით ქრისტე მაცხოვრის აღდგომის ამ ნათლითშემოსილ დღესასწაულზე ყოველ ერთგულ მართლმადიდებელ ქრისტიანს სულით და ხორცით ნათლად ჭეშმარიტებისად ამაღლებისკენ მოუწოდებს, რამეთუ აღდგომილმა უფალმა ცოდვის შავბნელ უფსკრულთაგან „თანააღგვადგინა ჩვენ“, ცოდვით დაცემათა უგრძნობელობისაგან განგვაცხოველა, სიკვდილისაგან ცხოვრებად მოგვაქცია და სიბნელისაგან სინათლედ, ჟონებისაგან თავისუფლებად, მტერობისაგან ღმრთისა თანა დაგებად, მიწისაგან ზეცად!

ესე არს ჭეშმარიტად აღუწერელი ძღვენი და მადლი გამოუთქმელი. ესე არს უსაზღვრო სიდიადე ერთადერთისა მის და ღმრთაებრივისა სიყვარულისა. მკვდრეთით აღდგომილმა მაცხოვარმა ჩვენმა ნათლად გვაუწყა: „ესე არს ნება მომავლინებელისა ჩემისა

მამისა, რა თა ყოველი რომელი მომცა მე, არა წარვწყმიდო მისგან, არამედ აღვადგინო იგი უკუნა სკნელსა მას დღესა“ (იოანე 6,39). მამა ღმერთი მხოლოდშობილი ძის რწმენის უდიდეს ძღვენს ანიჭებს ყველას, რომელთაც სათნო მისწრაფება აქვთ და სულის კეთილი განწყობა, რათა მობერვითა სულისა წმინდისა თა ძისა მიერ და სიტყვისა სოფელსა ამას შინა სულიერად განაცხოველოს, ხოლო

მომავალსა საუკუნოსა ცხოვრებასა ბრწყინვალე აღდგომის ღირს-ყოფა მიანიჭოს მათ.

საყოველთაო აღდგომისას ყოველნი აღდგებიან,გარნა ცოდვილნი და ღმრთის მადლით განუნათლებელნი და უნანელნი ქვე დაშთებიან სასჯელს მიცემულნი, მართალნი კი, რომელთაც ვიდრე სიკვდილამდე დაიმარხეს სარწმუნოება, რომელნიც საცდურებით არ მოიხიბლნენ და არ მოტყუვდნენ გულისთქმათა და ვნებათა სიცრუით,რომელნიც წინააღუდგნენ ეშმაკის მანქანებას და ანტიქრისტეს ორღანოთა მუქარას და თავად მას, ისინი ამაღლდებიან და აღტაცებულ იქნებიან „ღრუბლითა შემთხუევად უფლისა ჰაერთა ზედა“ (1 თესალ. 4,17). მხოლოდ ისინი **აღდგებიან** „ცხოვრებასა საუკუნოსა“, „ბრწყინვალებასა წმინდათასა“, „სადა იგი დაუცხრომელად მა წმიდა მედღესასწაულეთა ღაღადებს: უფალო, დიდება შენდა!“

* * *

აღდგომილი მაცხოვრის მიერ საყვარელნო ძმანო და დანო...

დღეს ჩვენ ცხოვრების გასხივოსნებას, სიკვდილზე გამარჯვებას ძნელ და უპრეცედენტო პირობებში **ვდღესასწაულობთ.** ბიოლოგიური სიკვდილი, საგულისხმოა, რომ გამონაკლისების გარეშე გვემუქრება ყველას. „ექსპერტები და სწავლულები“ (ამსოფლიური გაგებით) კი ამ გარდაუვალ საფრთხეს შიშისა და სასოწარკვეთის დასათესად იყენებენ,უმეტესად კი საიმისოდ,რომ მთელ მსოფლიოში ეპიდემიათა და სნეულებათა საშიშროებასთან საბრძოლველად და მიწიერი ცხოვრების ნებისმიერი ხანმოკლე სახით გასახანგრძლივებლად უკვე მზა, მოჩვენებითი და „მხსნელი“ გადაწყვეტილებების რეალიზაცია მოახდინონ.

ჩვენ, რომელთაც გვწამს აღდგომა და, ამასთან, არც ჯეროვან ზრუნვას ვივიწყებთ ამქვეყნიურ ცხოვრებაზე, მარტოოდენ მასზე ფიქრით ნუ ვიქნებით გარემოცულნი. **რეალური ცხოვრება გამოსაცდელი ასპარეზია, რომელიც ცხადჰყოფს ღმრთისა თანა სამუდამო მყოფობის ღირსნი ვართ თუ ცალკეემის გარეშე დაშთომისა.** ბიოლოგიური სიკვდილი შობის დღიდან თანაგვდევს და ნებისმიერ მომენტში, „ვითარცა მპარავი ღამისა“ (1 თესალ. 5,2), მოულოდნელად შეიძლება წამოგვადგეს თავს. ეს ყოველივე ღმრთაებრივი განგებულებით ჩვენივე გამოსწორებისა და განსწავლისათვის განეწესა, რათა თავი მოვიზღუდოთ მომაკვდინებელ ვნებათაგან, რომლებიც სინამდვილეში შეაგინებენ ჩვენს ცხოვრებას და სანამ კიდევ დაგვრჩენია დრო, სინანულით მოვიქცეთ მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტეს უსაზღვრო მოწყალებისაკენ.

ნუ დავივიწყებთ, რომ ღმრთის განგება მხოლოდ მასზე როდი ზრუნავს, რაც ჩვენს ამქვეყნიურ ცხოვრებას ეხება, რომელსაც სინამდვილეში მართლაც თავად მართავს და ყურადღებით

მეურვეობს, არამედ უმთავრესად იგი ჩვენს საიქიო და უკანასკნელ ხვედრს განჭვრეტს, რომელსაც ყოველნი სწრაფად და უცილობლად მივეახლებით. პირველხარისხოვნად მნიშვნელოვანი ის კი არაა, **როგორ და როდის** დავტოვებთ ამ სოფელს, არამედ ის, ვართ თუ არა მზად საღმრთოთა ხედვათა და უფალთან შეხვედრისათვის, სამართლიანი სამსჯავროსა და მისაგებელისათვის.

ამიტომ განვემზადოთ, უცხო ვყოთ თავი განდგომილებისა და ცოდვისაგან, რათა ამსოფლად სიბრძნითა და სიმხნით ვიდოდეთ, ვითარცა **„უშიშნი** მიწასა და ზღვასა“ (ღირსი თეოდორე სტუდიელი) და ჰაერსა ზედა, თავთა შორის თვისთა **მტვირთველნი** მკვდრეთით აღდგომილი უფლისა ღმრთისა და მაცხოვრისა ჩვენისა იესო ქრისტესი, რათა უსიამოვნო მოვლენათა ყოველ შემთხვევისას შეუპოვრად და მტკიცედ ვხმობდეთ: „არა შემეშინოს მე ბოროტისაგან, რამეთუ შენ ჩემ თანა ხარ“ (ფსალ. 22,4), „არა შემეშინოს მე ბევრეულისაგან ერისა, რომელთა-იგი გარემომიცვეს მე“ (ფსალ. 3,7); „ამისთ ს არა მეშინოდის ჩუენ ძრვასა ქუეყანისასა და ცვალებასა მთათასა, გულთა ზღუათასა“ (ფსალ. 45,3)!

ძმანო და მამანო,

ქრისტე აღსდგა! ჭეშმარიტად აღსდგა!

აღდგომა ქრისტესი 2021

წმინდა სინოდი
მთავარეპიკოპოსი † კალინიკე
ათენისა და სრულიად ელადისა
სინოდის წევრები